სსიპ - ქალაქ თერჯოლის №2 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელ

მადონა ჩხიკვაძის პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის ანგარიში

როგორ გავხადოთ ეფექტური განმავითარებელი შეფასება საბაზო საფეხურზე

2018-2019 სასწავლო წელი

სარჩევი

შესავალი 3

I თავი: საკვლევი საკითხის ზოგადი მიმოხილვა

1.1 ზოგადი ინფორმაცია სკოლის შესახებ 4

1.2 საკვლევი პრობლემის აქტუალობა და მისი სავარაუდო მიზეზები 4

1.3 კვლევის მიზანი 5

1.4 კვლევის ამოცანა 6

1.5 ძირითადი დასკვნები 7

II თავი: პრაქტიკული კვლევის არსი

III თავი: ლიტერატურის მიმოხილვა

3.1. შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში 8

3.2 ძირითადი დასკვნები 13

IV თავი: კვლევის მეთოდოლოგია

4.1. სამიზნე ჯგუფი 15

4.2. მონაცემთა შეგროვება 16

4.3. ძირითადი დასკვნები 16

V თავი: მონაცემთა ანალიზი

5.1 მონაცემთა ანალიზი 16

5.2 ძირითადი დასკვნები 25

VI თავი: ინტერვენცია

6.1 ინტერვენციის დაგეგმვა 26

6.2 ინტერვენციის განხორციელება 26

6.3 ინტერვენციის შედეგები 29

6.4. მიგნებები 32

6.5 რეკომენდაციები 33

6.6 ძირითადი დასკვნები 33

ბიბლიოგრაფია 35

დანართები 36

შესავალი

კვლევითი ნაშრომი „როგორ გავხადოთ ეფექტური განმავითარებელი შეფასება საბაზო საფეხურზე (მე-7 კლასი) წარმოადგენს სსიპ თერჯოლის №2 საჯარო სკოლაში განხორციელებული პრაქტიკული კვლევის ანგარიშს. კვლევა ჩატარდა საბაზო საფეხურის მე-7 კლასში(მასწავლებლებსა და მოსწავლეებში).

პრაქტიკული კვლევის ანგარიში შეიცავს ექვს თავსა და ქვეთავებს. პირველ თავში თქვენ გაეცნობით საკვლევი საკითხის ზოგად მიმოხილვას. მეორე თავში წარმოდგენილია პრაქტიკული კვლევის არსი. მესამე თავში -ლიტერატურის მიმოხილვა, მეოთხე თავში- კვლევის მეთოდოლოგია; მეხუთე და მეექვსე თავებში კი მოცემულია ინფორმაცია რაოდენობრივი და თვისობრივი კვლევის შედეგების შესახებ, აგრეთვე ინტერვენციები, მათი განხორციელების ეტაპები და შეფასება. ნაშრომის დასკვნით მონაკვეთში იხილავთ გამოყენებულ ლიტერატურას და დანართებს.

I თავი: საკვლევი საკითხის ზოგადი მიმოხილვა

როგორც ცნობილია, განმავითარებელი შეფასება კონკრეტული თემის/საკითხის შესწავლისას გამოიყენება და მისი მიზანია, დაადგინოს ის, თუ რამდენად კარგად გაიგო/გაიაზრა მოსწავლემ ესა თუ ის საკითხი. სწორედ ეს ეხმარება მასწავლებელს, დაგეგმოს სწავლება სწორად და მიაღწიოს სასწავლო მიზნებს. თუ მასწავლებელი იყენებს სწორად დაგეგმილ განმავითარებელ შეფასებას, მისმა მოსწავლეებმა კარგად იციან, თუ რისი გაკეთება სჭირდებათ სასწავლო მიზნების მისაღწევად. თუმცა, ამავდროულად, უმნიშვნელოვანესია ისიც, რომ მასწავლებელმა სწორად გაიაზროს ამ მიდგომის არსი, ასევე, არანაკლებ მნიშვნელოვანია ეფექტური სასწავლო გარემოს ზოგადი პრინციპების გათვალისწინება, რაც, ცხადია, ნებისმიერი გაკვეთილის წარმატებით ჩატარებისა და სასწავლო მიზნების მისაღწევად გადამწყვეტია.

ცალსახად ცხადია, თუ როგორი მნიშვნელობის მატარებელია განმავითარებელი შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ფუნქციონირების პროცესში. უმნიშვნელოვანესი აღმზრდელობითი ფუნქციის გარდა, განმავითარებელი შეფასების საშუალებით, სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეს შეუძლია ამომწურავი ინფორმაციის მიღება. მოსწავლეები აცნობიერებენ, თუ რა ეტაპზე იმყოფებიან თავიანთი განვითარების გზაზე, მასწავლებლები აცნობიერებენ თუ რამდენად ეფექტურია მათ მიერ შერჩეული სწავლების მეთოდები, როგორ აღწევენ სასწავლო მიზანს კონკრეტულ მოსწავლესთან და როგორ უნდა დაგეგმონ მომავალი სასწავლო პროცესი, ხოლო სახელმწიფო, მოსწავლეთა შეფასებით მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით იღებს ინფორმაციას, თუ როგორ მიმდინარეობს სწავლა-სწავლების პროცესი და რა მიღწევები და ხარვეზებია ამ მიმართულებით. ამდენად, განმავითარებელი შეფასების სასკოლო სივრცეში რეალიზების პრაქტიკის კვლევა მეტად **აქტუალურია.**

სწავლა-სწავლება რთული და, ამავდროულად, მრავალმხრივი პროცესია, მისი წარმატებით განხორციელებისათვის მრავალი კომპონენტის გათვალისწინებაა საჭირო, როგორც უკვე აღვნიშნე, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ფუნქციონირების საკითხში განმავითარებელი შეფასების მნიშვნელობა უდიდესია. იმისათვის, რომ მოსწავლესა და მასწავლებელს შორის პოზიტიური ურთიერთობა ჩამოყალიბდეს, სწორედ აღნიშნული შეფასება თამაშობს უდიდეს როლს, ყოველივე ეს კი, ვფიქრობ, პირდაპირპროპორციულად აისახება მოსწავლის მოტივაციაზე.

განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებას შორის განსხვავებას სწორედ ის განაპირობებს, თუ სწავლების რომელ ეტაპზე და, ამავდროულად, რა მიზნით ხორციელდება შეფასება.

1.1 ზოგადი ინფორმაცია სკოლის შესახებ

ქ.თერჯოლის №2 საჯარო სკოლაში სწავლობს 291 მოსწავლე.სკოლის დირექტორია რუსუდან უსუფაშვილი. სკოლაში მუშაობს 33 მასწავლებელი. მათგან 17-ს უფროსი მასწავლებლის სტატუსი აქვს. სკოლაში ახლახან დასრულდა სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები ათასწლეულის გამოწვევის ფონდ - საქართველოს მიერ. სკოლა აღჭურვილია უახლესი და თანამედროვე საბუნებისმეტყველო და კომპიუტერული ლაბორატორიებით. აქ ყველა პირობაა შექმნილი, რაც სასწავლო პროცესს კიდევ უფრო საინტერესოს და ნაყოფიერს გახდის .

1.2 საკვლევი პრობლემის აქტუალობა და მისი სავარაუდო მიზეზები

განმავითარებელი შეფასების გამოყენება და მასთან დაკავშირებული სირთულეები

თუ ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით ვიმსჯელებთ, ის შეფასებას რამდენიმე სახის ამოცანას უსახავს. შეფასებამ, პირველ რიგში, უნდა გამოკვეთოს, თუ როგორ მიმდინარეობს ცოდნის კონსტრუირების პროცესი, როგორია მოსწავლეთა ცოდნა და მკვიდრი წარმოდგენები ახალი საკითხის შესწავლამდე, რამდენად შესწევს მოსწავლეს უნარი, შეაფასოს საკუთარი სუსტი თუ ძლიერი მხარეები, ყოველივე ზემოთჩამოთვლილთან ერთად კი შეფასებამ აუცილებლად უნდა მოიცვას ცოდნის სამივე კატეგორია: დეკლარატიული, პროცედურული და პირობისეული, ეს კი, დამეთანხმებით, საკმაოდ რთული და შრომატევადი პროცესია, მასწავლებლის მხრიდან მოითხოვს განსაკუთრებულ დროსა და ენერგიას. თუმცა, ამასთანავე, ცხადია, განმავითარებელი შეფასების მნიშვნელობა განუსაზღვრელია და მისი კომპონენტების ზედმიწევნით შესრულება აუცილებელია.

2018-2024 წლების ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, I-დან V კლასის პირველი სემესტრის ჩათვლით, მოსწავლეთა შეფასებისას, მხოლოდ განმავითარებელი შეფასება უნდა გამოიყენონ. სასწავლო წლის ბოლოს, მასწავლებლებმა უნდა შეაფასონ მოსწავლეები წერილობით, სადაც ისაუბრებენ მათ სუსტ და ძლიეს მხარეებზე, განმარტავენ, თუ რომელ კომპონენტში სჭირდებათ დახმარება იმისათვის, რომ უკეთ გამოავლინონ საკუთარი შესაძლებლობები. V კლასის მეორე სემესტრიდან კი, XII კლასის ჩათვლით, მასწავლებელი ვალდებულია გამოიყენოს როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება არ გულისხმობს მხოლოდ სიტყვიერ ან წერილობით კომენტარს, ის აუცილებლად უნდა მოიცავდეს იმ რეკომენდაციებსაც, რომლებიც მომავალში უნდა გაითვალისწინონ მოსწავლეებმა ხარვეზის გამოსასწორებლად. ვფიქრობ, განმავითარებელი შეფასების გამოყენებისას, მნიშვნელოვანია ზომიერებისა და კორექტულობის

დაცვა, მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გამოკვეთა, თითოეული მათგანის პროგრესზე ზრუნვა და განვითარების ხელშეწყობა.

განმავითარებელი შეფასებისას საყურადღებოა ისიც, რომ მოსწავლეთა პროგრესის მონიტორინგს მუდმივი ხასიათი უნდა ჰქონდეს. ეს კი დამატებით დროსა და ენერგიას მოითხოვს.

ვფიქრობ, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია ისიც, რომ მოსწავლეთა დამოკიდებულებები, ინტერესები, შესაძლებლობები ყოველწლიურად უფრო და უფრო იზრდება, აქედან გამომდინარე კი მასწავლებლის დამოკიდებულება და შეფასება საყურადღებო და ფრთხილი უნდა იყოს.

პრობლემის გამომწვევი სავარაუდო მიზეზები

პრობლემის გადაჭრამდე მნიშნვნელოვანია პრობლემის გამომწვევი მიზეზების დადგენა და მათი ანალიზის საფუძველზე ინტერვენციის დაგეგმვა.

ერთი მხრივ, მოსწავლეთა ქცევაზე დაკვირვებამ, ხოლო, მეორე მხრივ, საკუთარმა გამოცდილებამ შესაძლებლობა მომცა გამომეკვეთა პრობლემის გამომწვევი სავარაუდო მიზეზები :

1. არასაკმარისი დრო.
2. მოსწავლეთა დიდი რაოდენობა.
3. განმავითარებელი შეფასების უგულებელყოფა (პრიორიტეტია განმსაზღვრელი შეფასება, კონკრეტული ქულა).
4. განმავითარებელი შეფასების სტრატეგიების ცოდნის დაბალი დონე.
5. მასწავლებელთა ნაწილი არ თვლის საჭიროდ განმავითარებელი კომენტარის საჭიროებას.

ამ მიზეზთა შორის ყველაზე მნიშვნელოვნად მიმაჩნია, რომ საბაზო საფეხურზე მოსწავლეებისთვის მნიშვნელოვანია განმსაზღვრელი შეფასება-კონკრეტული ქულა, ამიტომ დიდ ყურადღებას არ ანიჭებენ განმავითარებელ კომენტარებს, ვერ აკვირდებიან საკუთარი სწავლის პროცესს (რაში ჩამორჩებიან, სად აქვთ წარმატება...)

1.3 კვლევის მიზანი

პედაგოგიური კვლევის მიზანია განმავითარებელი შეფასების პრაქტიკის კვლევა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საბაზო საფეხურის მე-7 კლასში. აქედან გამომდინარე, უპირველესად :

- საჭიროა საკვლევი პრობლემატიკის სწორად იდენტიფიცირება;

- მისი გამომწვევი მიზეზების დადგენა;
- მისი სიღრმისეულად შესწავლა;
- ყოველივე ზემოთჩამოთვლილის გაანალიზების საფუძველზე, ისეთი აქტივობების დაგეგმვა და განხორციელება, რომლებიც მასწავლებლებს შეუწყობთ ხელს, განმავითარებელი შეფასება გამოიყენონ რეგულარულად, ამით აამაღლონ მოსწავლეთა მოტივაცია და გამოკვეთონ მათი ძლიერი თუ სუსტი მხარეები ხარვეზის გამოსწორების მიზნით;

1.4 კვლევის ამოცანა

ჩემი კვლევის უპირველესი ამოცანაა, პასუხი გაეცეს კითხვას იმის შესახებ, თუ როგორ გავხადოთ ეფექტური განმავითარებელი შეფასება, დავადგინოთ, რეალურად არსებობდა თუ არა დასახელებული პრომლემა, რა მიზეზებით იყო იგი გამოწვეული და მისი განხორციელების შემდეგ პასუხი გაეცეს რამდენიმე მნიშვნელოვან კითხვას:

- რა სირთულეებს წარმოშობს სასწავლო/საგაკვეთილო პროცესში განმავითარებელი შეფასებისგან თავის არიდება?
- რატომ არის მნიშვნელოვანი მასწავლებელმა სასწავლო/საგაკვეთილო პროცესში სისტემატურად გამოიყენოს განმავითარებელი შეფასება?
- რა ცვლილებას გამოიწვევს სასწავლო/საგაკვეთილო პროცესში განმავითარებელი შეფასების სისტემატური გამოყენება?
- როგორ შეცვლის მოსწავლეთა მოტივაციასა და საგაკვეთილო/სასწავლო პროცესში ჩართულობას განმავითარებელი შეფასების მუდმივი გამოყენება?

1.5 ძირითადი დასკვნები

- ✓ სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროცესია კვლევა.
- ✓ მთავარი საკითხი, რომელიც კვლევისთვის შევარჩიე, იყო განმავითარებელი შეფასების მიცემასთან დაკავშირებული სირთულეები და მათი გამომწვევი მიზეზების დადგენა, გადაჭრის გზების მოძიება, თუ როგორ უნდა გავხადოთ ეფექტური განმავითარებელი შეფასება.
- ✓ საკვლევი საკითხის არჩევა განაპირობა სასწავლო პროცესში არსებულმა სირთულეებმა, კერძოდ, პედაგოგები ნაკლებად იცნობენ განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტებს, ან იცნობენ, მაგრამ ნაკლებად იყენებენ გაკვეთილზე. სწორედ ამიტომ, ჩემი კვლევის მიზანია განმავითარებელი შეფასების გააქტიურება სასკოლო ცხოვრებაში, რაც უშუალო კავშირშია მოსწავლეთა ცოდნის დონის ამაღლებასთან.
- ✓ გამოვკვეთე ის მიზეზები,რომლებიც შეიძლება იწვევდეს პრობლემას, დავსახე მიზანი, კერძოდ, განმავითარებელი შეფასების გაუმჯობესება, გზები, რომლებიც დამეხმარებოდა მიზნის მიღწევაში.

II თავი: პრაქტიკული კვლევის არსი

მასწავლებელთა პროფესიული სტანდარტიდან გამომდინარე, მასწავლებლებს უნდა ჰქონდეთ პრაქტიკული კვლევის განხორციელების კომპეტენცია. მასწავლებელი დამოუკიდებლად ან კოლეგების დახმარებით გეგმავს კვლევით სამუშაოებს. მას აქვს შესაძლებლობა საკვლევი საკითხი განსაზღვროს დამოუკიდებლად, ჩაატაროს კვლევა, დაამუშაოს მონაცემები და წარმოადგინოს ისინი ინტერპრეტირებულად, კვლევის შედეგები გამოიყენოს საკუთარი თუ კოლეგების პრაქტიკის გასაუმჯობესებლად. (მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი).

პრაქტიკული კვლევა გვაძლევს იმის საშუალებას, რომ შევისწავლოთ და სიღრმისეულად გავაანალიზოთ ის პრობლემები, რომლებსაც ვაწყდებით სასწავლო თუ საგაკვეთილო პროცესში.

საყურადღებოა ის, რომ კვლევის პროცესში წამოჭრილი ყველა პრობლემა, შესაძლოა, ვერ გადაიჭრას საკვლევი ეტაპის დასრულების შემდეგ, ან სულაც, ისეთი პრობლემა გამოიკვეთოს, რომელზეც მანამდე არ დავფიქრებულვართ და სწორედ ამის საფუძველზე დავგეგმოთ ახალი კვლევა.

სწავლა-სწავლების პროცესში სხვადასხვა პრობლემას შესაძლოა წავაწყდეთ და მათი გამომწვევი მიზეზი შეიძლება იყოს მოსწავლეთა მხრიდან დაბალი მოტივაცია, არასაკმარისი

საგაკვეთილო დრო, კლასში მოსწავლეთა დიდი რაოდენობა, მასწავლებლის არასაკმარისი კომპეტენცია და მრავალი სხვა.

როგორც მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის გზამკვლევში ვკითხულობთ, მასწავლებლის დაინტერესება საკვლევი თემატიკით შესაძლოა რამდენიმე ფაქტორმა განაპირობოს და ესენია:

- სასწავლო პროცესზე დაკვირვება და არსებული გამოცდილება;
- უკუკავშირისა და შეფასების შედეგები;
- სკოლის განვითარების პროგრამებში, პროექტებსა და კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებში მონაწილეობა;
- ცნობისმოყვარეობა და „თეორიული ინტერესები“ და ა.შ. (მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის გზამკვლევი, მე-2 ნაწილი, გვ.64-65).

კვლევა მიმდინარეობდა 6 თვის განმავლობაში. დაიწყო 2019 წლის იანვარში და დასრულდა ივნისში. (დანართი 4)

ასევე, ჩემთვის საკმაოდ მნიშვნელოვანი და საინტერესო იყო აღნიშნული კვლევის ჩემი კოლეგებისათვის წარდგენა.

აქედან გამომდინარე, შემიძლია ვთქვა, რომ აღნიშნული კვლევა არის პრაქტიკული კვლევის ნიმუში და მასში ასახულია ყველა ის ეტაპი, შედეგი და დასკვნა, რომლებიც მივიღეთ კვლევის პროცესის შედეგად.

III თავი: ლიტერატურის მიმოხილვა

3.1. შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში

ცხადია, რომ მოსწავლეთა შეფასება სწავლა-სწავლების პროცესის შემადგენელი აუცილებელი კომპონენტია. ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით ვაანალიზებთ, რომ შეფასების სისტემის მიზანი სწავლა-სწავლების ხარისხის მართვაა, რაც, ერთი მხრივ, - სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვას, მეორე მხრივ, სწავლა-სწავლების ხარისხის მონიტორინგს გულისხმობს.

მოსწავლეთა შემოწმება და შეფასება პედაგოგიური პროცესის აუცილებელი შემადგენელი ნაწილია. მისი საშუალებით ხორციელდება:

- დროის განსაზღვრულ მონაკვეთში (იქნება ეს გაკვეთილი, სემესტრი თუ სასწავლო წელი) მოსწავლეთა მიერ შეთვისებული ცოდნის სისტემაში მოყვანა;

- მოსწავლეთა ცოდნის ხარისხის განსაზღვრა და ამ ცოდნის დიფერენცირებულად შეფასება;
- სწავლაში ცალკეული მოსწავლისა თუ მთელი კლასის ხარვეზების გამოვლენა;
- მოსწავლეში პასუხისმგებლობის განვითარება, თვითშეფასების ამაღლება.

აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ შეფასებას არა მხოლოდ საგანმანათლებლო, არამედ აღმზრდელობითი ფუნქციაც აქვს.

მოსწავლეთა შემოწმებისა და შეფასების ძირითადი პრინციპებია:

- შემოწმება და შეფასება უნდა გვაძლევდეს ამომწურავ ინფორმაციას თითოეული მოსწავლის ცოდნაზე და მას აუცილებელია, ჰქონდეს ინდივიდუალური ხასიათი. მასწავლებელს ფუნდამენტურად უნდა ჰქონდეს შესწავლილი თითოეული მოსწავლის უნარები და შესაძლებლობები, რათა მას შესაძლებლობა მიეცეს გაატაროს ეფექტური ზომები ყოველი მათგანის წარუმატებლობის მიზეზების აღმოსაფხვრელად. ეს პრინციპი შესაძლებლობას გვაძლევს, რომ მასწავლებელმა ზუსტად გაიგოს, რა ისწავლა კონკრეტულმა მოსწავლემ, ასევე, რას და რატომ ვერ გაართვა თავი, რა უნდა გააკეთოს იმისათვის, რომ შედეგები გააუმჯობესოს და ა.შ.
- მოსწავლეთა შემოწმებასა და შეფასებას დიფერენცირებული ხასიათი უნდა ჰქონდეს. ცოდნა მტკიცედ დადგენილი ნორმებისა და ნიშანთა სისტემის მიხედვით უნდა ფასდებოდეს. ეს მასწავლებელს მისცემს იმის საშუალებას, რომ ზუსტად დაადგინოს მოსწავლეთა ცოდნის მოცულობა და ხარისხი.
- ერთ-ერთი აუცილებელი კომპონენტი ცოდნის შემოწმება-შეფასებაში, ობიექტურობის დაცვაა. ეს ნიშნავს იმას, რომ თითოეულმა მასწავლებელმა სრული პასუხისმგებლობით, დამსახურების მიხედვით უნდა შეაფასოს მოსწავლე.
- მნიშვნელოვანია ისიც, რომ შემოწმება და შეფასება სისტემატურად ხორციელდებოდეს. თუ შეფასება პერიოდულია, ის სასწავლო პროცესზე საკმაოდ მავნე ზეგავლენას შეიძლება ახდენდეს, რადგან, ერთი მხრივ, ამ დროს შეუძლებელია მოსწავლეთა პროგრესზე დაკვირვება, მათდამი ინდივიდუალური მიდგომის განხორციელება, ხოლო, მეორე მხრივ კი, შეფასების ეპიზოდურობით შეიძლება აიხსნას ისეთი ფაქტები, როდესაც მოსწავლეები გარკვეული პერიოდის განმავლობაში არაფერს აკეთებენ და სემესტრის ან სულაც წლის ბოლოს ცდილობენ, აინაზღაურონ დანაკლისი. რა თქმა უნდა, ასე ნაჩქარევად, უსისტემოდ ნასწავლი მალე ავიწყდებათ (დ. ლორთქიფანიძე; 1983).

კლასიკურ პედაგოგიკაში შეფასების შემდეგი სახეები გამოიყენება :

- მიმდინარე შემოწმებისა და შეფასების, რომელიც მთელი სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის აღრიცხვის საფუძველია, ამოცანებია:
  ა) ასახოს მოსწავლის ყოველდღიური მუშაობის დადებითი თუ უარყოფითი მხარეები.

ბ) განსაზღვროს ახალ მასალაზე გადასვლის შესაძლებლობა და ამისთვის შექმნას საამისო განწყობა;

გ) განუვითაროს პასუხისმგებლობის გრძნობა და გაკვეთილის ყოველდღიურად მომზადების ჩვევა;

დ) ხელი შეუწყოს მოსწავლეთა ცოდნა-ჩვევების განმტკიცებას.

მიმდინარე შემოწმებას მასწავლებელი თითქმის ყველა გაკვეთილზე იყენებს, განსაკუთრებით კი შესავალ ნაწილში. მიმდინარე შემოწმების გამოყენებით, მასწავლებელი აღადგენს განვლილ მასალას მოსწავლეთა მეხსიერებაში, მოჰყავს შეძენილი ცოდნა სისტემაში და საფუძველს ამზადებს ახალ მასალაზე გადასასვლელად. ასევე, მისი საშუალებით ადგენს და აფასებს ცალკეული მოსწავლის ცოდნას.

მიმდინარე შემოწმების კიდევ ერთი სახე საგაკვეთილო შეფასებაა, რომელიც გამოიყენება გაკვეთილზე (ახალი მასალის ფარგლებში). იგი უმეტესად იმისთვის გამოიყენება, რომ მოსწავლე იყოს უფრო ყურადღებით ახალი მასალის ახსნისას.

- ცოდნის სემესტრული შემოწმება და შეფასება, რომელიც მოიაზრებს სემესტრის განმავლობაში განვლილი მასალის ფარგლებში მოსწავლეთა შემოწმებასა და შეფასებას. ცოდნის სემესტრული შემოწმებისა და შეფასების ამოცანებია :

  ა) შეაფასოს თითოეული მოსწავლის წარმატება სემესტრის მანძილზე განვლილი მასალის ფარგლებში მიმდინარე შეფასების გათვალისწინებით.

  ბ) გამოკვეთოს სკოლისა და მასწავლებლის სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში არსებული მიღწევები და ნაკლი იმისათვის, რომ შემდეგ სემესტრში განმტკიცდეს მიღწევები და აღმოიფხვრას ხარვეზი.

- წლიური გამოცდები არის ერთგვარი დასკვნა, მთელი სასწავლო წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის შეჯამება. ყოველივე ეს ამოწმებს არამხოლოდ მოსწავლეთა ცოდნას, არამედ სკოლის, დირექტორის, თითოეული მასწავლებლის მუშაობასაც.

წლიური შემოწმება-შეფასების ამოცანებია: ა) ნიშანთა სისტემის საშუალებით შეაფასოს თითოეული მოსწავლის ცოდნის ხარისხი, განსაზღვროს შემდგომ კლასში გადაყვანის საკითხი. ბ) გამოარკვიოს თითოეული მოსწავლის, მასწავლებლის და სკოლის წარმატება თუ ნაკლოვანი მხარეები იმისათვის, რომ ეს შედეგები გამოიყენოს მომდევნო სასწავლო წელს მუშაობის გასაუმჯობესებლად (დ. ლორთქიფანიძე; 1983).

მოსწავლეთა ცოდნის შემოწმება-შეფასების ბევრნაირი მეთოდი არსებობს. მათგან განსაკუთრებით შეიძლება გამოვყოთ:

- მიმდინარე დაკვირვება, რომელიც უმნიშვნელოვანესი საშუალებაა თითოეული მოსწავლის ყოველმხრივ შესასწავლად. შეფასების სხვა მეთოდებისგან განსხვავებით, მიმდინარე დაკვირვება, ყველაზე რთულად განსახორციელებელია, რადგან ამ დროს, მასწავლებელმა ერთდროულად სხვადასხვა ფაქტორზე უნდა გაამახვილოს ყურადღება. იგი უნდა აზროვნებდეს, მსჯელობდეს, ამასთანავე, თვალყურს უნდა

ადევნებდეს თითოეულ მოსწავლეს და რასაკვირველია, შესაბამისად რეაგირებდეს მათს ქმედებებზე.

მიმდინარე დაკვირვების საშუალებით მასწავლებელს შეუძლია ყურადღების ცენტრში ჰყავდეს თითოეული მოსწავლე (დ. ლორთქიფანიძე; 1983).

- ზეპირი გამოკითხვა, რომელიც მოსწავლეთა ცოდნის შემოწმებისა და შეფასების საყურადღებო მეთოდია. ზეპირი გამოკითხვის დროს, პირველ რიგში, სწორად დასმული კითხვაა მნიშვნელოვანი,აქ საინტერესოა ისიც, თუ რამდენად სიღრმისეული იქნება მოსწავლის პასუხი და რამდენად სწორი რეაგირება ექნება ამ პასუხზე მასწავლებელს. მასწავლებელს უნდა ახსოვდეს, რომ მოსწავლეში ეს პროცესი, შესაძლოა, დაძაბულობასაც იწვევდეს, განსაკუთრებით კი გამოცდების დროს. ამ შემთხვევაში მასწავლებლის პასუხისმგებლობა გაცილებით დიდია.
- შემაჯამებელი წერითი მუშაობა - უმნიშვნელოვანესია მოსწავლეთა დამოუკიდებელი მუშაობის უნარ-ჩვევების გამომუშავებისა და წერითი მეტყველების კულტურის განვითარების დროს. იგი ხელს უწყობს ცოდნის განმტკიცებას, ლოგიკური აზროვნების უნარის განვითარებას. ის სახელმწიფო კონტროლის განხორციელებისთვისაც ეფექტური საშუალებაა. შემაჯამებელი წერა ტარდება მასწავლებლის ხელმძღვანელობითა და ზედამხედველობით (თუმცა ჩაურევლად).
- მოსწავლეთა პრაქტიკული ნამუშევრების ანალიზი მასწავლებელს საშუალებას აძლევს დაადგინოს, თუ რა ცოდნა-ჩვევებს ამჟღავნებს მოსწავლე დამოუკიდებელი მუშაობისას, რამდენად შეუძლია თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება და ა.შ. (დ. ლორთქიფანიძე; 1983).

,,შეფასებას სრულიად განსაკუთრებული ადგილი უკავია ბავშვის სწავლა-აღზრდის პროცესში. მისი როლი და მნიშვნელობა სასწავლო პროცესის შემდგომი სრულყოფისა და გაუმჯობესებისთვის განუზომელია. ამასთან ერთად ის სირთულეები, რომლებიც ბავშვის სწავლა-აღზრდის დროს გვხვდება, შეიძლება სწორედ შეფასებას უკავშირდებოდეს. არცთუ ისე იშვიათად გართულებული ურთიერთობა მოსწავლესა და მასწავლებელს, მშობელსა და მასწავლებელს შორის შეფასების პროცესთან არის დაკავშირებული.“-ვკითხულობთ ჟურნალ მასწავლებლის ვებ-გვერდზე **ქეთევან ოსიაშვილის** სტატიაში: ,,**შეფასების როლი და მნიშვნელობა ბავშვის სწავლა-აღზრდის პროცესში**“(http://mastsavlebeli.ge/?p=1613). აქ აშკარად ჩანს, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს სრულყოფილ,სანდო და ობიექტური შეფასების სისტემას სკოლაში.

- "ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც უნდა გავითვალისწინოთ, არის ის, რომ ნებისმიერი აქტივობა თუ სტრატეგია განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტი ხდება მხოლოდ მაშინ, თუკი მასწავლებელი და მოსწავლე (გარდა იმისა, რომ გაარკვევენ, როგორია მოსწავლის პროგრესი, რას ვერ იგებს ის) იპოვიან გზებს, როგორ უნდა გაიაზროს მოსწავლემ ესა თუ ის საკითხი. შესაბამისად, განმავითარებელი შეფასების ვერ ერთი ინსტრუმენტის გამოყენება ვერ ჩაითვლება ეფექტურად, თუკი საბოლოო შედეგი არ იქნება საკითხის/ცნების ღრმად

გაგება/გააზრება თუ უნარის ათვისება."- დასკვნის სახით წერს **ს. გორგოძე** სტატიაში "**ეფექტური განმავითარებელი შეფასება**"(http://mastsavlebeli.ge/?p=11953)

გარდა ქართველი ავტორებისა, სახელმწიფო მასწავლებლებს სთავაზობს უცხოელი ავტორების ქართულად ნათარგმნ სახელმძღვანელოებს. ერთ-ერთი ასეთია **რობერტ ჯ. მარზანოს, დებრა ჯ. ფიქერინგისა და ჯეინ ო. ფოლოქ**ის ,,ეფექტური სწავლება სკოლაში". მასში, სხვა საკითხებთან ერთად საუბარია, რომ მასწავლებლები, როგორც წესი, ხშირად იყენებენ მოსწავლის მიერ შესრულებულ დავალებაზე კომენტარის გაკეთების მეთოდს. მათში, უმთავრესად, აღნიშნულია, რამდენად კარგად შეასრულა მოსწავლემ მოცემული დავალება. მარზანოს მიხედვით, კვლევები ადასტურებს, რომ კომენტარების გაკეთება სწავლების ძალიან ეფექტური მეთოდია.

მკვლევარმა **ჯონ ჰეთიმ** (1992) 8000-მდე კვლევა განიხილა და დაასკვნა, რომ ყველაზე ძლიერი მეთოდი, რომელიც მოსწავლეთა აკადემიურ მოსწრებას აუმჯობესებს, კომენტარების გაკეთებაა, შესაბამისად, განათლების ხარისხის გაუმჯობესების ყველაზე მარტივი რეცეპტი იქნებოდა - ,,რაც შეიძლება ხშირად აკეთეთ კომენტარები''.

მარზანოს გაანალიზებული აქვს რამდენიმე კვლევა კომენტარის გაკეთების მეთოდის შესახებ. ანალიზის საშუალებით თავი მოუყარეს ოთხ განზოგადებულ დასკვნას:

- მასწავლებლის მიერ გაკეთებული კომენტარები ორიენტირებული უნდა იყოს მოსწავლის შედეგების გაუმჯობესებაზე. ასეთი კომენტარები მოსწავლეებს საშუალებას აძლევს გააცნობიერონ, რას აკეთებს სწორად და რას - არა. საგულისხმოა, რომ მოსწავლისთვის მხოლოდ იმის თქმა, სწორია თუ არა მისი პასუხი, უარყოფით გავლენას ახდენს მის აკადემიურ მოსწრებაზე. კვლევის შედეგების მიხედვით, კომენტარი სასარგებლოა მაშინ, როცა დეტალურად უხსნის მოსწავლეს, რა არის მის პასუხში სწორი და რა - არა.
- მასწავლებლის კომენტარი დროული უნდა იყოს, ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. როგორც კვლევებიდან იკვლევა, კომენტარის მიცემისთვის ყველაზე ეფექტური დრო ტესტირების დასრულების პერიოდია. რაც უფრო გვიან მიაწვდის მასწავლებელი კომენტარს, მით უფრო ნაკლებ გავლენას მოახდენს იგი მოსწავლის აკადემიურ მოსწრებაზე.
- მასწავლებლის მიერ გაკეთებული კომენტარი უნდა უკავშირდებოდეს კონკრეტულ კრიტერიუმს და არა - ნორმებს. კრიტერიუმებზე მიმართული კომენტარები გულისხმობს, რომ მოსწავლეებს აფასებენ წინასწარ დადგენილი კრიტერიუმებით და არა სხვა მოსწავლეებთან შედარებით. როცა კომენტარი ნორმებს უკავშირდება, მოსწავლეები ინფორმაციას იღებენ იმის შესახებ, თუ რა მიმართებაა მათსა და სხვა მოსწავლეებს შორის. ეს ინფორმაცია აბსოლუტურად გამოუსადეგარია მასწავლებლისთვის იმის დასადგენად, თუ რა ისწავლა მოსწავლემ და რა აქვს კიდევ სასწავლი. კრიტერიუმებთან დაკავშირებული კომენტარები კი მოსწავლეებს მიუთითებს, რა პოზიცია უკავია კონკრეტული ცოდნისა და უნარების მიღწევის თვალსაზრისით. კვლევები გვიჩვენებს,

რომ კრიტერიუმებზე მიმართული კომენტარები გაცილებით ეფექტურია, ვიდრე - ნორმებზე მიმართული კომენტარები.

- მოსაზრება იმის შესახებ, რომ ეფექტური კომენტარის გაკეთება მხოლოდ მასწავლებლებს შეუძლიათ, მცდარია. ეფექტური კომენტარების გაკეთება მოსწავლეებს თვითონაც შეუძლიათ. მათ შეუძლიათ საკუთარი პროგრესის ეფექტური მონიტორინგი სხვადასხვა საშუალებით, მაგალითად, ცხრილების შევსებით და ა.შ. ცნობილია, რომ, რაც უფრო კონკრეტულია კომენტარები, მით უფრო სასარგებლოა მოსწავლისთვის, შესაბამისად, მასწავლებელი უნდა ეცადოს კომენტარი კონკრეტულ ცოდნასა და უნარზე გააკეთოს.

3.2 ძირითადი დასკვნები

მეთოდური ლიტერატურის ანალიზის შედეგად შემიძლია გავაკეთო შემდეგი დასკვნები:

- ✓ შეფასება სწავლების პროცესის აუცილებელი და საჭირო კომპონენტია.
- ✓ განმავითარებელი შეფასება, შეფასების ის ტიპია, რომელიც მასწავლებელს აძლევს საშუალებას მოსწავლეთა ყურადღება გაამახვილოს საკითხის სიღრმისეულ და ხარისხიან შესწავლაზე.
- ✓ განმავითარებელი შეფასებისას მასწავლებელმა აქცენტი მხოლოდ მოსწავლის კონრეტულ ცოდნასა და უნარზე უნდა გააკეთოს და აუცილებლად უნდა შეიცავდეს ხარვეზის გამოსწორების შესაძლო გზას.
- ✓ ვაფასებთ არა მოსწავლეს, არამედ მის მიერ შესრულებულ სამუშაოს. შეფასებისას აქცენტს თავდპირველად ვაკეთებთ არა უარყოფით მხარეებზე, არამედ მის დადებით მაჩვენებელზე.

IV თავი: კვლევის მეთოდოლოგია

გამომდინარე იქიდან, რომ კვლევის სამიზნე ჯგუფში შედიან მხოლოდ მე-7 კლასის მოსწავლეები და მასწავლებლები, გამოვიყენე სრული შერჩევის მეთოდი ანუ, ერთი მხრივ, მე-7 კლასის ყველა მოსწავლე და, მეორე მხრივ, ის მასწავლებლები, რომლებიც ასწავლიან ამ კლასს. კვლევა არის შერეული ტიპის, რადგან გამოყენებულია როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისობრივი კვლევის მეთოდები.

გაკვეთილის პროცესში **თვისობრივი კვლევის** მეთოდებიდან ვიყენებდი **უბრალო დაკვირვების** მეთოდს, რათა შემესწავლა კლასში არსებული მდგომარეობა: როგორი ტიპის განმავითარებელი შეფასება იყო მათთვის მნიშვნელოვანი; რომელი იწვევდა მოტივაციის ამაღლებას და რომელი-არა; რომელი უფრო მოსწონდათ სიტყვიერი, ზეპირი კომენტარი თუ წერილობითი.

რადგან კლასში 24 მოსწავლეა, ჯერ ავირჩიე დაკვირვების რამდენიმე ობიექტი, ვაკეთებდი კომენტარებს როგორც კლასის წინაშე, ასევე ვესაუბრებოდი მოსწავლეებს ინდივიდუალურადაც, რის შედეგიც გახლდათ ის, რომ შედარებით უინიციატივო მოსწავლეები, რომლებიც ფრთხილობდნენ, რომ შეცდომა არ დაეშვათ, უფრო თამამად და თავისუფლად გამოთქვამდნენ აზრს, ითვალისწინებდნენ მიცემულ განმავითარებელ კომენტარს.

აღწერითი დაკვირვების დროს გამოიკვეთა მიმართულებები, თუ საით უნდა წარმემართა მუშაობა **ფოკუსირებული დაკვირვებისას**: სწორად ესმოდათ თუ არა მასწავლებლის მიერ მიცემული განმავითარებელი შეფასება და აანალიზებდნენ თუ არა მას მომდევნო დავალების შესრულებისას, სწორად მიცემული და გაგებული შეფასება იწვევდა თუ არა მოტივაციის ამაღლებას.

ერთ-ერთი მეთოდი, რომელსაც კვლევის პროცესში რამდენიმეჯერ მივმართე, იყო **ფოკუსჯგუფი.** ფოკუსჯგუფში შედიოდნენ ის მასწავლებლები, რომლების ასწავლიდნენ მე-7 კლასს, რათა გამეთვალისწინებინა მათი მოსაზრებები პრობლემის გამომწვევ მიზეზებთან დაკავშირებით და ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით გამომეტანა დასკვნები.

სწორედ ფოკუსჯგუფი გახდა საშუალება იმისა, რომ სწორი წარმოდგენა შემქმნოდა კლასში არსებულ რეალურ მდგომარეობაზე.

საკითხის სიღრმისეული კვლევისა და კოლეგების აზრის კვლევისათვის გამოვიყენე სიღრმისეული ინტერვიუს მეთოდი. სიღრმისეული ინტერვიუ ჩავატარე სამი სხვადასხვა საგნის პედაგოგთან. კერძოდ : ისტორიის, და გეოგრაფიისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა საფუძვლების პედაგოგებთან. ვთხოვდი მათ, გულახდილად ესაუბრათ, როგორ აძლევდნენ განმავითარებელ შეფასებას, აღნიშნავდნენ თუ არა როგორც პოზიტიურს, ისე- ნეგატიურს: რა მოეწონათ, რა იყო კარგი, სად იყო ფაქტობრივი|შინაარსობრივი შეცდომა, სად იყო არასწორად გააზრებული საკითხი და ა.შ. მითითებების გათვალისწინებით ხელახლა ასრულებინებდნენ თუ არა მოსწავლეებს დავალებებს, ან აკვირდებოდნენ თუ არა, როგორ ითვალისწინებდნენ რჩევებს.

მაგალითისთვის გთავაზობთ ერთ-ერთი პედაგოგის ნააზრევს: „ყოველთვის უფრო აქტიურად ვაქცევდი ყურადღებას განმსაზღვრელ შეფასებას, რაც განსაკუთრებით მიქმნიდა პრობლემას ჯგუფური მუშაობის დროს.ჯგუფში დასმულ კითხვაზე თითოეული მოსწავლის მიერ გაცემული პასუხი აისახებოდა ჯგუფის საერთო ქულაზე, ამიტომ ბავშვების ნაწილი პასუხის გაცემაზე თავს იკავებდა, იმ მიზნით, რომ ჯგუფისთვის მაღალი ქულა შეენარჩუნებინა. გადავწყვიტე, განმსაზღვრელი შეფასების ნაცვლად გამომეყენებინა განმავითარებელი კომენტარი და დამეხვეწა მისი გაცემის ფორმა. „ ყოჩაღ,მომეწონა,კარგო გოგო ხარ, შენ დღეს შექებას იმსახურებ!“, ფორმები შევცვალე:“ყოჩაღ! შესანიშნავად შეძელი შენი აზრის დაცვა, ასევე მომეწონა, რომ ყურადღებით უსმენდი შენს მეგობარს, რომელსაც შენგან განსხვავებული პოზიცია ჰქონდა“. ამ ფორმით გაცემულმა განმავითარებელმა შეფასებამ შედეგი გამოიღო,

მოსწავლეებს მოეხსნა ემოციური დაძაბულობა, ისინი უფრო აქტიურები, ჩართულები, თავდაჯერებული და გაბედულები გახდნენ.“

კვლევის რაოდენობრივი მეთოდი

ერთ- ერთი მეთოდი, რომელიც პრობლემის რეალური მიზეზის დასადგენად გამოვიყენე იყო მოსწავლეთა წერილობითი გამოკითხვა. მათთვის შევადგინე კითხვარი შვიდი შეკითხვით. კითხვარის მიზანი იყო , დამედგინა:

- ეხმარება თუ არა მოსწავლეებს განმავითარებელი შეფასება.
- .როგორი ტიპის განმავითარებელი შეფასება მოსწონთ.
- იყენებენ თუ არა პედაგოგები განმავითარებელ შეფასებას.
- ზრდის თუ არა საგაკვეთილო პროცესში ჩართულობის ხარისხს განმავითარებელი შეფასება.

პასუხები დავამუშავე რაოდენობრივი და პროცენტული თვალსაზრისით.

მასწავლებლებისთვისაც შევადგინე კითხვარი რამდენიმე შეკითხვით. მაინტერესებდა დამედგინა:

- რა ფაქტორებს ითვალისწინებდნენ უკუკავშირის მიცემის დროს.
- რა საშუალებებს იყენებდნენ მოსწავლეთა პროგრესის მონიტორინგის დროს.
- ხომ არ ექმნებოდათ პრობლემები განმავითარებელი შეფასებისას და როგორი იყო ეს პრობლემები.
- რა სიხშირით იყენებდნენ განმავითარებელ შეფასებას.

მასწავლებლებთან საუბრის შედეგად გამოიკვეთა, რომ მთავარი პრობლემა,რომელსაც კლასთან მუშაობისას აწყდებოდნენ ისაა, რომ მოსწავლეები ჯეროვნად და ყურადღებით არ ეკიდებიან განმავითარებელ შეფასებას, ამიტომ საჭირო გახდა მუშაობის სტილის შეცვლა, ყველა გაკვეთილი ისე უნდა დაგეგმილიყო, რომ ეფექტური გამხდარიყო განმავითარებელი შეფასება, რათა უფრო იოლად მიგვეღწია ესგ-ის მიზნებისთვის.

4.1. სამიზნე ჯგუფი

კვლევის სამიზნე ჯგუფი არის სსიპ თერჯოლის №2 საჯარო სკოლის საბაზო საფეხურის მე-7 კლასის 24 მოსწავლე და ამავე სკოლის მე-7 კლასში შემავალი 13 მასწავლებელი.

4.2. მონაცემთა შეგროვება

დაკვირვების მეთოდის შერჩევისას, ჩემი მთავარი მიზანი იყო, მათი გამოყენებით სწორად განმესაზღვრა მოსწავლეთა თუ მასწავლებელთა მხრიდან წამოჭრილი სხვადასხვა პრობლემის გამომწვევი მიზეზები.

კვლევის როგორც თვისებრივი, ისე რაოდენობრივი მეთოდები დამეხმარა პრობლემის შესწავლისა და მისი გამომწვევი მიზეზების დადგენაში. რადგან, „კვლევის თვისებრივი მეთოდი მიზნად ისახავს საკვლევი საგნის სიღრმისეულ, ხარისხობრივ შესწავლას, ხოლო რაოდენობრივი მეთოდი ადგენს შესასწავლი საგნის რაოდენობრივი გავრცელების სურათს“ (მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის გზამკვლევი, მე-2 ნაწილი, გვ.68).

4.3. ძირითადი დასკვნები

- ✓ კვლევის მეთოდებით ვადგენთ პრობლემის გამომწვევ მიზეზებს.
- ✓ კვლევის თვისობრივი მეთოდებიდან შერჩეული მქონდა დაკვირვება და ფოკუსჯგუფი, რაოდენობრივიდან კი-კითხვარები.
- ✓ ამ მეთოდების გამოყენებით გამოიკითხნენ მე-7 კლასის მოსწავლეები და მასწავლებლები და რეალური გახდა განმავითარებელ შეფასებასთან დაკავშირებული პრობლემა.
- ✓ ამის შემდეგ მოვამზადე კითხვარები შესაბამისი ინსტრუქციებით, დაიგეგმა სამუშაო შეხვედრები მოსწავლეებთან და მასწავლებლებთან.
- ✓ ბოლო ეტაპზე კი მოპოვებული ინფორმაცია დავახარისხე და დავიწყე გაანალიზება.

V თავი: მონაცემთა ანალიზი

5.1 მონაცემთა ანალიზი

კითხვარი მოსწავლეებისათვის

1. რა ტიპის განმავითარებელი შეფასება მოგწონთ?

   ა)კომენტარი;

   ბ)ზეპირი;

   გ)რვეულში ჩაწერილი;

   დ)ყველა



2. გრძნობთ თუ არა სარგებელს განმავითარებელი შეფასებისას თქვენი წარმატებულობის დადგენის თვალსაზრისით?

ა)დიახ; ბ)არა; გ) იშვიათად



3. იყენებს თუ არა პედაგოგი განმავითარებელ შეფასებას?

ა)დიახ; ბ)არა; გ)ნაწილობრივ



4. არის თუ არა პედაგოგი ობიექტური?

ა)ყველა ობიექტურია; ბ)ნაწილობრივ ობიექტურია; გ)უმეტესობა ობიექტურია



5. გეხმარებათ თუ არა განმავითარებელი შეფასება თემის უკეთ შესწავლაში ან დავალების უკეთ შესრულებაში?

ა)დიახ; ბ)არა; გ)ნაწილობრივ



კითხვარი მასწავლებლებისათვის

1. იცით თუ არა რა არის განმავითარებელი შეფასება და რა მიზანი აქვს მას?

ა)ვიცი; ბ)მეტნაკლებად ვიცი; გ)არვიცი



2. როდის იყენებთ განმავითარებელ შეფასება და რა სიხშირით?

ა)ყველა გაკვეთილზე; ბ)შემაჯამებელი გაკვეთილის შემდეგ;

გ) სემესტრში რამდენიმეჯერ



3. რა მნიშვნელობა აქვს განმავითარებელი შეფასების გამოყენებას სასწავლო პროცესში მოსწავლის აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად?

ა)მოტივაციის ამაღლებისათვის; ბ)აკადემიური მოსწრების ამაღლებისათვის; გ)დასახმარებლად



4. ქმნით მოსწავლეთა შეფასების რუბრიკებს?

ა)დიახ, ვქმნით; ბ)იშვიათად; გ)პერიოდულად



5. განმავითარებელი შეფასების რა ინსტრუმენის იყენებთ?

ა)თვითშეფასება; ბ)თანატოლთა შეფასება

გ)შემაჯამებელი ბარათები; დ)სიტყვიერი კომენტარი



6. უპირატესად, რის საფუძველზე აკეთებთ სიტყვიერ კომენტარს?
ა)შესრულებული სამუშაოს მიხედვით; ბ)ჩართულობის სიხშირის მიხედვით
გ)ახალ და წინარე ცოდნას შორის სხვაობის მიხედვით



7. რა აქტივობებს მიმართავთ მოსწავლეთა ხარვეზებისა და მიღწევების გამოსარკვევად?
ა)ტესტი; ბ)საშინაო დავალება;
გ)შემაჯამებელი სამუშაო; დ)დამოუკიდებელი სამუშაოს ანალიზი



8. რა ფაქტორებს ითვალისწინებთ მოსწავლისათვის უკუკავშირის მიცემის დროს?
ა)სუსტი და ძლიერი მხარეები; ბ)შესაძლებლობები; გ)განწყობა



9. რა ფორმით აწვდით მოსწავლეებს უკუკავშირს?
ა)ზეპირი; ბ)წერილობითი და სიტყვიერი; გ)უპასუხოდ და სხვა



10. როგორ და რა საშუალებებით ახდენთ მოსწავლეთა პროგრესის მონიტორინგს?

ა)ჩართულობით; ბ)საშინაო დავალების შემოწმებით
გ)დამოუკიდებელი დავალების შემოწმებით; დ)ყველა ზემოთ თქმულით
ე)უპასუხოდ დატოვა



11. რა პრობლემები გექნებათ განმავითარებელი შეფასების დროს?
ა)მრავალრიცხოვნება; ბ)არასწორი გაგება;
გ)არ მექმნება; დ)მოსწავლე არ არის ყურადღებით



12. რა ტიპის განმავითარებებლი შეფასება მოსწონთ მოსწავლეებს?
ა)დადებითი კომენტარი; ბ)თანატოლთა შეფასება

გ)თვითშეფასება; დ)არ უპასუხა



5.2 ძირითადი დასკვნები

- ✓ მოსწავლეთა უმრავლესობას, 56%, თანაბრად მოსწონს განმავითარებელი შეფასების ყველა ტიპის შეფასება, ხოლო 23% უპირატესობას ანიჭებს კომენტარს, 2% -ზეპირ კომენტარს, ხოლო 19%- რვეულში ჩანაწერს.
- ✓ მოსწავლეთა 50% აღნიშნავს, რომ განმავითარებელი შეფასება ეხმარება საკუთარი წარმატებულობის დადგენაში, 41% აღნიშნავს, რომ იშვიათად გრძნობს სარგებელს მისგან, ხოლო 9% აღნიშნავს, რომ განმავითარებელი შეფასებისაგან ვერანაირ სარგებელს ვერ იღებს.
- ✓ მოსწავლეთა 33% აღნიშნავს, რომ პედაგოგი მუდმივად იყენებს განმავითარებელ შეფასებას, 38%ის აზრით-- ნაწილობრივ იყენებს, ხოლო 29% -არ იყენებს.
- ✓ მოსწავლეთა 21% მიუთითებს პედაგოგთა ნაწილობრივ ობიექტურობაზე, 62% მიანიშნებს, რომ ყველა პედაგოგი ობიექტურია, 17% კი აღნიშნავს, რომ უმეტესად ყველა ობიექტურია.
- ✓ მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების დასადგენად მასწავლებელთა 46% განმავითარებელი შეფასების ამაღლებაზე საუბრობს, 23% ამბობს, რომ ის იწვევს მოტივაციის ამაღლებას; 31%-ს კი მიაჩნია, რომ ის ეხმარება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების ამაღლებაში.
- ✓ კითხვაზე, ქმნიან თუ არა პედაგოგები განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს, პედაგოგთა 70% აღნიშნავს, რომ ქმნის; 15-15% მიანიშნებს რომ პერიოდულად ან იშვიათად ქმნის მას.

- ✓ პედაგოგთა 52% ძირითადად გამოიყენებს სიტყვიერ კომენტარს; 35%-- თვითშეფასებას; 2%- შემაჯამებელ ბარათებს; 11%-თანატოლთა შეფასებას.
- ✓ პედაგოგთა 38-38% აღნიშნავს, რომ სიტყვიერი კომენტარის საფუძვლად მიიჩნევს შესრულებულ სამუშაოს და ჩართულობის მაჩვენებელს, 24%- ახალი და წინარე ცოდნას შორის სხვაობას.
- ✓ მოსწავლეთა ხარვეზებისა და მიღწევების გამოსარკვევად მასწავლებელთა 46% მიიჩნევს დამოუკიდებელი სამუშაოს ანალიზს; 31%- ტესტს; 8%- საშინაო დავალების დიფერენციაციას, ხოლო 15%- შემაჯამებელ სამუშაოს.
- ✓ პედაგოგთა 38% მიუთითებს იმაზე, რომ მოსწავლეთა პროგრესის მონიტორინგს ჩართულობით ახდენს; 18%-საშინაო დავალების შესრულების ხარისხით; 23%- დამოუკიდებელი სამუშაოს შესრულების ხარისხით; ხოლო 23%-მა უპასუხოდ დატოვა კითხვა.
- ✓ მასწავლებელთა 37% ძირითად დამაბრკოლებელ ფაქტად განმავითარებელი შეფასების მიცემისას მიიჩნევს მოსწავლეთა მრავალრიცხოვნობას; 18%- არასწორ გაგებას; 15% - უყურადღებობას; 30%-ს კი არ ექმნება პრობლემა.

VI თავი: ინტერვენცია

6.1 ინტერვენციის დაგეგმვა

- პედაგოგებთან სამუშაო შეხვედრების ორგანიზება თემაზე: "განმავითარებელი შეფასების როლი სწავლების პროცესში";
- ელექტრონული და მატერიალური რესურსების გამოყენება და შექმნა მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების კუთხით .რესურსები: "ფრაზეოლოგიზმები ქართულ ლიტერატურაში"; "ქართველი და მსოფლიო მეიგავეები", „ჩვენ ვიცავთ სალიტერატურო ენის ნორმებს", „სინონიმთა ლექსიკონი".
- სასწავლო პროექტი თემაზე: "ჩვენ ვაფასებთ ერთმანეთს"
- სწავლა შეცდომების გასწორებით.
- ესეების კონკურსი.

6.2 ინტერვენციის განხორციელება

1. პედაგოგებთან სამუშაო შეხვედრის განხორციელება ჩემ მიერ კვლევის ფარგლებში განხორციელებული პირველი ინტერვენციაა. ჩავატარე სამი სამუშაო შეხვედრა. პირველი შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა მიმეწოდებინა პედაგოგებისათვის ზოგადი ინფორმაცია შეფასების სისტემის შესახებ და მესაუბრება განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტზე.

მეორე შეხვედრაზე ჩვენ ერთობლივად შევიმუშავეთ განმავითარებელი შეფასების რუბრიკები სხვადასხვა ტიპის აქტივობებზე, აგრეთვე შევთანხმდით იმაზე, რომ ამ რუბრიკებს გადავიტანდით დიდ ფლიპჩარტებზე და გამოვაკრავდით თვლასაჩინო ადგილას.

მესამე შეხვედრისათვის თითოეული მონაწილე პედაგოგი შეეცადა წარმოედგინა საკუთარი გაკვეთილების გეგმა, რომელზეც გამოყენებული იქნებოდა მოსწავლეთა შეფასებისათვის მხოლოდ განმავითარებელი შეფასება.

2. რაც შეეხება ელექტრონული და მატერიალური რესურსების გამოყენებას, აქ, მინდა ვთქვა, რომ ჩვენ ვცდილობდით მოსწავლეებთან ერთად შეგვექმნა რესურსი, რომელიც შემდეგ საგაკვეთილო პროცესში გამოყენებული იქნებოდა თვალსაჩინოებად, პრეზენტაციის შემდეგ ამ რესურსებს განვათავსებდით თვალსაჩინო ადგილას, რათა ინფორმაცია ხელმისავდომი ყოფილიყო სხვა ჯგუფის ბავშვებისათვისაც. ასე შევქმენით „ფრაზეოლოგიზმები ქართულ ლიტერატურაში“; „ქართველი და მსოფლიო მეიგავეები“, „ჩვენ ვიცავთ სალიტერატურო ენის ნორმებს“, „სინონიმთა ლექსიკონი“.

რა თქმა უნდა, რესურსი შევაფასე წინასწარ გამზადებული რესურსის განმავითარებელი შეფასების რუბრიკით, რომელიც აგრეთვე განთავსებული იყო თვალსაჩინო ადგილას. რუბრიკას ქვემოთ წარმოვადგენ და აღვნიშნავ იმას, რომ აქტივობამ ხელი შეუწყო მოსწავლეებს შეძლებოდათ დაენახათ საკუთარი ძლიერი მხარეები რესურსების შექმნისას და აგრეთვე გაემახვილებინათ ყურადღება ნაკლოვანებებზე, რათა შეძლებოდათ მისი გამოსწორება.

კრიტერიუმები/მიღწევის დონე	ძალიან კარგი	კარგი	მეტნაკლებად გასაუმჯობესებელი	გასაუმჯობესებელი
სასწავლო რესურსის ადეკვატურობა თემატიკასთან	სასწავლო რესურსის ადეკვატურობა თემატიკასთან მკაფიოდ არის გამოხატული	რესურსი ადეკვატურია თემატიკასთან მიმართებაში	რესურსი მეტაკლებად არის თემატიკის ადეკვატური	რესურსი არ არის თემატიკის ადეკვატური
სასწავლო რესურსის შინაარსობრივი გამართულობა	რესურსის შინაარსობრივი მაჩვენებელი მკაფიოდაა გამოხატული და რაციონალურადაა ორგანიზებული	რესურსის შინაარსობრივი მაჩვენებელი კარგადაა გამოხატული და ორგანიზებული	რესურსის შინაარსობრივი მხარე მეტ-ნაკლებადაა გამოხატული და ორგანიზებული	რესურსის შინაარსობრივი მხარე არ არის გამოხატული და საჭიროებს გაუმჯობესებას
სასწავლო რესურსის გამოყენების არეალი	სასწავლო რესურსი შესაძლებელია გამოყენებული იქნეს თვალსაჩინო მასალად სხვადასხვა გაკვეთილზე	სასწავლო რესურსის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ ერთ კონკრეტულ გაკვეთილზე	სასწავლო რესურსის გამოყენება მეტ-ნაკლებად შეიძლება იყოს გამოყენებული გაკვეთილზე	სასწავლო რესურსის გაკვეთილზე გამოყენებისათვის საჭიროა მისი გაუმჯობესება სხვადასხვა პარამეტრით

3. სასწავლო პროექტი „ჩვენ ვაფასებთ ერთმანეთს“

პროექტი მიმდინარეობდა სამი კვირის მანძილზე. პირველ ეტაპზე მოსწავლეებს თვითონ უნდა მოეპოვებინათ ინფორმაცია განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტების შესახებ. შემდეგ კონკრეტული აქტივობების მიხედვით მეორე კვირაში ისინი ადგენდნენ უკვე საკუთარი ძალებით რუბრიკებს, რომ არ ყოფილიყო ინფორმაციის ერთმანეთში არევის მომენტი, მე მათ დავავალე მხოლოდ ორ კონკრეტულ აქტივობაზე გაეკეთებინათ რუბრიკა. ეს იყო ჯგუფური მუშაობა და საერთო საკლასო სამუშაო .რადგან სწორედ ეს აქტივობები წარმოადგენენ დომინანტ აქტივობებს საგაკვეთილო პროცესში. ხოლო დასკვნით ეტაპზე მათ შევთავაზე გაგვეცვალა როლები და საგაკვეთილო პროცესში მათ მიერვე შექმნილი რუბრიკის საფუძველზე ჩემ ნაცვლად შეეფასებინათ თანაკლასელები.(დანართი 6)

4. ,,სწავლა შეცდომების გასწორებით”-ეს აქტივობა დაეხმარა მოსწავლეებს საკუთარი შეცდომების აღმოჩენასა და ადეკვატურად რეაგირებაში.ხელი შეუწყო შეცდომების გასწორების უნარის ჩამოყალიბებას, გაზარდა მოტივაცია და განუვითარათ დამოუკიდებლად სწავლის უნარ-ჩვევები.

   შეცდომების გასწორებას ნებისმიერი წერითი სამუშაოს შემდეგ ვატარებდით, ოღონდ წინასწარ ვსაზღვრავდით, რა ტიპის შეცდომებს გავასწორებდით, ხშირად ეს იყო ყველაზე რეგულარულად დაშვებული შეცდომები, ვაძლევდი ინსტრუქციას, ვუსაზღვრავდი დროს. ერთი მოსწავლე ხმამაღლა კითხულობდა, ამბობდა, რა შეასწორა და რატომ, ვკითხულობდი, ჰქონდა თუ არა ვინმეს მსგავსი შეცდომა, მსჯელობასა და შეცდომის ანალიზში ერთვებოდა მთელი კლასი.

5. რადგანაც მე ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ვარ, შემდეგი ინტერვენცია იყო ესეების კონკურსი. მე მაინტერესებდა მოსწავლეების მოსაზრება, რას ფიქრობდნენ ისინი, ზოგადად, სკოლაში არსებულ შეფასების სისტემაზე, როგორი შეფასება უნდა ყოფილიყო მომავლის სკოლაში. სწორედ ამიტომ, რადგანაც წერითი კომპეტენციის განვითარება ერთ-ერთი მიმართულებაა ქართულის სწავლებისას, გადავწვიტე, ჩამეტარებინა ესეების კონკურსი: “როგორ ტიპის შეფასება შეუწყობდა ხელს ჩემს განვითარებას“. მოსწავლეებმა კარგად გაართვეს თავი დაკისრებულ დავალებას, აბსოლუტური უმრავლესობა აღნიშნავდა, რომ განმავითარებელი შეფასების სისტემატური, ყოველდღიური გამოყენება ხელს უწყობს მათი მოტივაციის ამაღლებას, საგაკვეთილო პროცესში ჩართულობის ხარისხის გაზრდას. ყველა ესე გადავიტანეთ თაბახის ფურცელზე და ავკინძეთ წიგნად. (ესეს შეფასების რუბრიკა. დანართი 5)

6.3 ინტერვენციის შედეგები

მონაცემთა ანალიზმა ცხადყო, რომ მოსწავლეთა პასუხები უფრო ახლოს იყო რეალობასთან, ვიდრე მასწავლებლებისა. ფოკუს ჯგუფთან ჩატარებულმა შეხვედრებმა, საუბრებმა დამანახა, რომ მასწავლებლები მართლაც იყენებენ შეფასების რუბრიკებს, აძლევენ მოსწავლეებს განმავითარებელ შეფასებას, ზეპირ თუ წერილობით კომენტარს, მაგრამ ეს ხდებოდა მხოლოდ მაშინ, თუ მათ უწევდათ ღია, სამოდელო თუ სტანდარტული გაკვეთილების ჩატარება.

მოცემულმა ანალიზმა მიმახვედრა, რომ პრობლემა ნამდვილად რეალურია და გადავწყვიტე დამენერგა ისეთი მეთოდები, რომლებიც წამოჭრილი პრობლემის მოგვარებაში დამეხმარებოდა. საჭიროდ ჩავთვალე შეფასების რუბრიკების შედგენა და ყოველ გაკვეთილზე მოსწავლეებისათვის მათი გაცნობა, განმავითარებელი შეფასების სისტემატური გამოყენება.

კვლევის მიმდინარეობის პროცესში ყოველდღიურად ვცდილობდი გამომევლინა მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობები. ამისათვის ყოველი აქტივობის შემდეგ თითოეულ მოსწავლეს ვაძლევდი შესაძლებლობას, გაეაზრებინა, რა ისწავლა, რა ვერ გაიგო, რა ფორმით იქნებოდა უფრო გასაგები, რა შეძლო, რა ვერ შეძლო, რა საკითხში სჭირდებოდა ჩემი დახმარება და რა მასალა უნდა გაემეორებინა დამოუკიდებლად.

გასულ სასწავლო წლებში სკოლა ჩართული იყო G-preid-ის საგანმანათლებლო პროექტში, გავეცანით სასწავლო-მეთოდოლოგიური რესურსების კრებულს, რომელშიც დეტალურადაა გაწერილი განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტების გამოყენება სასწავლო პროცესში, მოცემულია პრაქტიკული აქტივობები განმავითარებელი შეფასებისთვის.

სახელმძღვანელო დამეხმარა გაკვეთილებზე გამომეყენებინა რამდენიმე აქტივობა: დაკვირვება, შეკითხვების დასმა, პასუხის ფურცლები, გამოსაძახებელი ჩხირები, გასასვლელი ბილეთები, ერთწინადადებიანი შეჯამება, ერთსიტყვიანი შეჯამება, პერიფრაზირება, კონსრტუქციული უკუკავშირი...

ნებისმიერი ეს აქტივობა მხოლოდ მაშინ ხდება მნიშვნელოვანი, თუ მოსწავლე და მასწავლებელი ერთად იპოვიან პრობლემის გადაჭრის გზებს და მათი საბოლოო შედეგი იქნება ამა თუ იმ საკითხის გაგება-გააზრება და მისი პრაქტიკაში გამოყენება.

რადგანაც მაინტერესებდა ინტერვენციების შემეფასებინა რაიმე რაოდენობრივი მაჩვენებლით, გადავწყვიტე სამი კითხვით მიმემართა ბავშვებისათვის. ამისათვის შევადგინე მცირე კითხვარი:

1. დაგეხმარათ თუ არა განხორციელებული ინტერვენციები მოგეხდინათ თქვენი ცოდნის მაჩვენებლის ზუსტი დიაგნოსტირება?
   ა)ძალიან დამეხმარა; ბ)დამეხმარა; გ) არ დამეხმარა



2. როგორ შეაფასებდით განხორციელებულ ინტერვენციებს?

ა) ძალიან საინტერესო და საჭირო იყო, რათა პოზიტიურად შემცვლოდა დამოკიდებულებები განმავითარებელ შეფასებასთან დაკავშირებით;

ბ) საინტერესო იყო და, ვფიქრობ, ახლა უკვე ზუსტად ვიცი, თუ რატომ არის საჭირო განმავითარებელი შეფასება;

გ) ვფიქრობ, დიდი ცვლილება ჩემს დამოკიდებულებებში შეფასების ამ ტიპს , არ გამოუწვევია



3. ინტერვენციების განხორციელების შემდეგ შეგიძლია თუ არა თვითონ საკუთარი თავი შეაფასო რუბრიკის მიხედვით და განსაზღვრო ის, თუ რაზე უნდა გაამახვილო ყურადღება სამომავლოდ

ა)ვფიქრობ, შემიძლია; ბ) მეტ-ნაკლებად შემიძლია; გ) არ შემიძლია;



4. გაზარდა თუ არა განმავითარებელმა შეფასებამ გაკვეთილზე თქვენი ჩართულობის ხარისხი?

ა) დიახ, ბ) არა



5. გაიზარდა თუ არა თქვენი სწავლის მოტივაცია?
   ა) დიახ ბ) არა გ) ნაწილობრივ



6.4. მიგნებები

- მასწავლებლები ძირითადად იცნობენ განმავითარებელი შეფასების მნიშვნელობას, მიანიშნებენ მისი გამოყენების აუცილებლობაზე, იყენებენ განმავითარებელი შეფასების ყველა ინსტრუმენტს; იყენებენ მას სხვადასხვა მიზნით, იქნება ეს აკადემიური მოსწრების მონიტორინგი; მოსწავლეთა ჩართულობა საგაკვეთილო პროცესში თუ ხარვეზებისა და მიღწევების დადგენა.
- მოსწავლეებს მოსწონთ, როდესაც მასწავლებელი მათ აძლევს განმავითარებელ კომენტარს,თუმცა მიანიშნებენ იმაზე, რომ ზეპირ კომენტარს ამჯობინებენ წერილობით უკუკავშირს.
- როგორც მოსწავლეები, ასევე მასწავლებლები მიანიშნებენ იმაზე, რომ განმავითარებელი კომენტარი ეხმარებათ საჭიროებებისა და ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენაში.
- მასწავლებლები მიიჩნევენ, რომ განმავითარებელი შეფასება საუკეთესო საშუალებაა მოსწავლეთა პროგრესის დასახასიათებლად, თუმცა ძირითად სირთულედ მიაჩნიათ მოსწავლეთა მრავალრიცხოვნება და მოსწავლეების მხრიდან კომენტარის არასწორად გაგება.

- მოსწავლეები აღნიშნავენ, რომ მასწავლებლები ძირითადად ობიექტურები არიან, თუმცა მათ შორის საკმარისადაა ისეთი ბავშვი, რომელსაც ჰგონია, რომ მის მიმართ მასწავლებელი არაობიექტურია.
- მოსწავლეები აღნიშნავენ, რომ საინტერესო და საჭიროა ყოველდღიური განმავითარებელი შეფასება, რადგან იციან, თუ რაზე უნდა გაამახვილონ ყურადღება სამომავლოდ, შესაბამისად,მათი გაკვეთილზე ჩართულობის ხარისხი და მოტივაცია გაიზარდა.

6.5 რეკომენდაციები

- მოსწავლეთა მრავალრიცხოვნობა რომ არ იქცეს დამაბრკოლებელ ფაქტორად განმავითარებელი შეფასებისას, ჩემი აზრით, ყველა გაკვეთილზე რეგულარულად შევაფასოთ მოსწავლეთა გარკვეული რაოდენობა, რომელსაც ვთვლით, რომ ყველაზე მეტად ესაჭიროება კომენტარის მიცემა.
- დავალებათა მიცემისას გავითვალისწინოთ მოსწავლეთა წინარე ცოდნა და შესაძლებლობები.
- განმავითარებელი კომენტარის ან განმავითარებელი შეფასების სხვა ინსტრუმენტის გამოყენება გამოუმუშავებს მიმღეობას განმავითარებელი შეფასებისადმი და შემცირდება მათი მხრიდან გაუგებრობის ხარისხი.
- თუ შევადგენთ კარგად გაწერილი კრიტერიუმებით შექმნილ განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს და გამოვაკრავთ მას თვალსაჩინო ადგილას, შევამცირებთ მოსწავლეებში მასწავლებლის მიმართ არაობიექტურობის განცდას.
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკის შექმნა, ჩემი აზრით, უმჯობესია ყველა ტიპის დავალებისათვის.

6.6 ძირითადი დასკვნები

- ✓ დაგეგმილმა და განხორციელებულმა ინტერვენციებმა გაამართლა, რადგან მასწავლებლებთან სამუშაო შეხვედრისას შევძელით ერთმანეთის აზრის მოსმენა და საკუთარი გამოცდილების გაზიარება, გარდა ამისა, დისკუსიის შედეგად ყველა შევთანხმდით იმაზე, რომ განმავითარებელი შეფასების კომპონენტი საუკეთესო საშუალებაა, რომ შევძლოთ სწავლების პროცესის ხარისხობრივი მაჩვენებლის გაზრდა.
- ✓ ინტერვენციებისა და მათი შედეგების, ასევე მონაცემთა ანალიზის შედეგად გაკეთებული ძირითადი დასკვნების საფუძველზე შესაძლებელი გახდა კვლევის შედეგად გამოკვეთილი ძირითადი მიგნებებისა და მათი გათვალისწინებით რეკომენდაციების ფორმულირება.

კვლევის ძირითადი დასკვნა

დაგეგმილი და განხორციელებული კვლევითი სამუშაოების ეტაპობრივად განაწილებამ საშუალება მომცა კვლევის ძირითადი ეტაპი განმეხორციელებინა ყურადღებითა და დაკვირვებით. შერჩეულმა რაოდენობრივი და თვისობრივი კვლევის მეთოდებმა შესაძლებლობა

მომცა მიმეღწია კვლევის მიზნისათვის, რაც მდგომარეობდა იმაში, რომ განმეხორციელებინა განმავითარებელი შეფასების პრაქტიკის კვლევა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საბაზო საფეხურის მე-7 კლასში და უფრო ეფექტური გამეხადა იგი.

თვისობრივი კვლევის მეთოდებმა საშუალება მომცა საკვლევი პრობლემატიკის იდენტიფიცირებისა და მისი გამომწვევი მიზეზების დადგენისა, სიღრმისეულად შემესწავლა ისინი. რაოდენობრივი მეთოდით მოსწავლეთა და მასწავლებელთა ანკეტირების შედეგად შევძელი ისეთი აქტივობების დაგეგმვა და განხორციელება, რომლებმაც ხელი შემიწყო, განმავითარებელი შეფასება გამომეყენებინა რეგულარულად, რათა მიმეღწია მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებისათვის და გამომეკვეთა სწავლების ძლიერი თუ სუსტი მხარეები ხარვეზების გამოსწორების მიზნით.

ბიბლიოგრაფია

1. არბოლიშვილი ლ., ერთი მეთოდი, როგორ გამოვიყენოთ განმავითარებელი შეფასების დადებითი მხარე, 2014 http://gesj.internet-academy.org.ge/download.php?id=2460.
2. ბოჭორიშვილი მ., მოსწავლის შეფასება მასწავლებლის ყოველდღიური ფიქრის ნაწილია, 2014 http://mastsavlebeli.ge/?p=1974;
3. გორგოძე ს., ეფექტური განმავითარებელი შეფასება, 2016 http://mastsavlebeli.ge/?p=11953;
4. ლორთქიფანიძე დ., დიდაქტიკა, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1983 ;
5. მარზანო რობერტ ჯ., ფიქერინგი დებრა ჯ., ფოლოქი ჯეინ ი., ეფექტური სწავლება სკოლაში. კვლევებზე დაყრდნობით შემუშავებული მეთოდები, რომლებიც აუმჯობესებენ მოსწავლეთა აკადემიურ მოსწრებას, თბილისი, პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2009.
6. რატიანი მ., ქარჩავა თ., სილაგაძე ნ., თევზაძე რ., შეყილაძე მ., სეხნიაშვილი მ., უთურგაიძე მ., გზამკვლევი ჩვენი საქართველო V-VI კლასები, თბილისი, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, 2011 http://elibrary.emis.ge/ge/books/read/130/;
7. ოსიაშვილი ქ. შეფასების როლი და მნიშვნელობა ბავშვის სწავლა-აღზრდის პროცესში“ (http://mastsavlebeli.ge/?p=1613)
8. მასწავლებლის საქმიანიბის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის გზამკვლევი. ნაწ.II. თბილისი მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2016
9. მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი,2014 http://www.tpdc.ge/uploads/pdf_documents/maswavleblis%20profesiuli%20standarti.pdf

დანართები

დანართი 1.

კითხვარი მოსწავლეებისათვის

1. რა ტიპის განმავითარებელი შეფასება მოგწონთ?
   ა)კომენტარი; ბ)ზეპირი; გ)რვეულში ჩაწერილი; დ)ყველა

2. გრძნობთ თუ არა სარგებელს განმავითარებელი შეფასებისას თქვენი წარმატებულობის დადგენის თვალსაზრისით?
   ა)დიახ; ბ)არა; გ) იშვიათად

3. იყენებს თუ არა პედაგოგი განმავითარებელ შეფასებას?
   ა)დიახ; ბ)არა; გ)ნაწილობრივ

4. არის თუ არა პედაგოგი ობიექტური?
   ა)ყველა ობიექტურია; ბ)ნაწილობრივ ობიექტურია; გ)უმეტესობა ობიექტურია

5. გეხმარებათ თუ არა განმავითარებელი შეფასება თემის უკეთ შესწავლაში ან დავალების უკეთ შესრულებაში?
   ა)დიახ; ბ)არა; გ)ნაწილობრივ

დანართი 2

კითხვარი მასწავლებლებისათვის

1. იცით თუ არა რა არის განმავითარებელი შეფასება და რა მიზანი აქვს მას?

ა)ვიცი; ბ)მეტნაკლებად ვიცი; გ)არვიცი

2. როდის იყენებთ განმავითარებელ შეფასება და რა სიხშირით?

ა)ყველა გაკვეთილზე; ბ)შემაჯამებელი გაკვეთილის შემდეგ;
გ) სემესტრში რამდენიმეჯერ

3. რა მნიშვნელობა აქვს განმავითარებელი შეფასების გამოყენებას სასწავლო პროცესში მოსწავლის აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად?

ა)მოტივაციის ამაღლებისათვის; ბ)აკადემიური მოსწრების ამაღლებისათვის; გ)დასახმარებლად

4. ქმნით მოსწავლეთა შეფასების რუბრიკებს?

ა)დიახ, ვქმნით; ბ)იშვიათად; გ)პერიოდულად

5. განმავითარებელი შეფასების რა ინსტრუმენის იყენებთ?

ა)თვითშეფასება; ბ)თანატოლთ შეფასება

გ)შემაჯამებელი ბარათები; დ)სიტყვიერი კომენტარი

6. უპირატესად რის საფუძველზე აკეთებთ სიტყვიერ კომენტარს?

ა)შესრულებული სამუშაოს მიხედვით; ბ)ჩართულობის სიხშირის მიხედვით

გ)ახალ და წინარე ცოდნას შორის სხვაობის მიხედვით

7. რა აქტივობებს მიმართავთ მოსწავლეთა ხარვეზებისა და მიღწევების გამოსაკვევად?

ა)ტესტი; ბ)საშინაო დავალება;

გ)შემაჯამებელი სამუშაო; დ)დამოუკიდებელი სამუშაოს ანალიზი

8. რა ფაქტორებს ითვალისწინებთ მოსწავლისათვის უკუკავშირის მიცემის დროს?

ა)სუსტი და ძლიერი მხარეები; ბ)შესაძლებლობები; გ)განწყობა

9. რა ფორმით აწვდით მოსწავლეებს უკუკავშირს?

ა)ზეპირი; ბ)წერილობითი და სიტყვიერი; გ)უპასუხოდ და სხვა

13. როგორ და რა საშუალებებით ახდენთ მოსწავლეთა პროგრესის მონიტორინგს?

ა)ჩართულობით; ბ)საშინაო დავალების შემოწმებით

გ)დამოუკიდებელი დავალების შემოწმებით; დ)ყველა ზემოთ თქმულით

ე)უპასუხოდ დატოვა

14. რა პრობლემები გექნებათ განმავითარებელი შეფასების დროს?

ა)მრავალრიცხოვნება; ბ)არასწორი გაგება;

გ)არ მექმნება; დ)მოსწავლე არ არის ყურადღებით

15. რა ტიპის განმავითარებებლი შეფასება მოსწონთ მოსწავლეებს?

ა)დადებითი კომენტარი; ბ)თანატოლთა შეფასება

გ)თვითშეფასება; დ)არ უპასუხა

დანართი 3

კითხვარი მოსწავლეებისათვის ინტერვენციის შემდეგ

1. **დაგეხმარათ თუ არა განხორციელებული ინტერვენციები მოგეხდინათ თქვენი ცოდნის მაჩვენებლის ზუსტი დიაგნოსტირება?**

ა) ძალიან დამეხმარა; ბ) დამეხმარა; გ) არ დამეხმარა

2. როგორ შეაფასებდით განხორციელებულ ინტერვენციებს?

ა) ძალიან საინტერესო და საჭირო იყო, რათა პოზიტიურად შემცვლოდა დამოკიდებულებები განმავითარებელ შეფასებასთან დაკავშირებით;

ბ) საინტერესო იყო და, ვფიქრობ, ახლა უკვე ზუსტად ვიცი, თუ რატომ არის საჭირო განმავითარებელი შეფასება;

გ) ვფიქრობ, დიდი ცვლილება ჩემს დამოკიდებულებებში შეფასების ამ ტიპს , არ გამოუწვევია

3. ინტერვენციების განხორციელების შემდეგ შეგიძლია თუ არა თვითონ საკუთარი თავი შეაფასო რუბრიკის მიხედვით და განსაზღვრო ის, თუ რაზე უნდა გაამახვილო ყურადღება სამომავლოდ

ა)ვფიქრობ, შემიძლია; ბ) მეტ-ნაკლებად შემიძლია; გ) არ შემიძლია;

4. გაზარდა თუ არა განმავითარებელმა შეფასებამ გაკვეთილზე თქვენი ჩართულობის ხარისხი?

ა) დიახ, ბ) არა

5. გაიზარდა თუ არა თქვენი სწავლის მოტივაცია?

ა) დიახ ბ) არა გ) ნაწილობრივ

დანართი 4

კვლევის დროის გეგმა

		იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი
1	საკვლევი თემის შერჩევა	X					
2	კვლევის სავარაუდო გეგმის შემუშავება	X					
3	მონაცემთა შეგროვება/ანალიზი	X	X			X	
4	მოსწავლეთა კითხვარი		X				
5	მასწავლებელთა კითხვარი			X			
6	მიღებული შედეგების ანალიზი			X			
7	სავარაუდო ინტერვენციების განხილვა			X			
8	ინტერვენციის განხორციელება				X	X	
9	ინტერვენციის შედეგების ანალიზი						X
10	პრეზენტაცია						X

დანართი 5

ესეს შეფასების რუბრიკა

კრიტერიუმები	**დიახ**	**არა**	**ნაწილობრივ**	**რეკომენდაცია**
წერს გამართულად გრამატიკულითვალსაზრისით.				
მართებულად გამოყოფს აბზაცებს.				
აზრებს ალაგებს თანმიმდევრულად, ნაწერი შეკრულია.				
აქცენტს აკეთებს არსებით საკითხებზე.				
იყენებს არგუმენტებს, რათა გააძლიეროს მთავარი სათქმელი.				
არჩევს შესატყვის ლექსიკას და სტილს.				
გულწრფელად გამოხატავს საკუთარ თვალსაზრისს და ასაბუთებს.				

დანართი 6

ჯგუფურ მუშაობაში მონაწილეობის თვითშეფასების რუბრიკის ნიმუში

ჩემს აზრს ღიად გამოვთქვამ	ყოველთვის	ზოგჯერ	არასოდეს
როცა სხვა ლაპარაკობს, ვუსმენ ყურადრებით	ყოველთვის	ზოგჯერ	არასოდეს
განსხვავებულ აზრს ვითვალისწინებ	ყოველთვის	ზოგჯერ	არასოდეს
დაკისრებულ მოვალეობას ვასრულებ	ყოველთვის	ზოგჯერ	არასოდეს
ვიცი, რომ კამათი ჩხუბში არ უნდა გადაიზარდოს	ყოველთვის	ზოგჯერ	არასოდეს
ვიცავ დროის ლიმიტს	ყოველთვის	ზოგჯერ	არასოდეს

კვლევის შედეგების გაზიარება და რეფლექსია

იმისათვის რომ ჩემ მიერ შექმნილი კვლევის ანგარიში გამეხადა საჯარო, შევქმენი საპრეზენტაციო მასალა და წარვუდგინე კათედრისა და შეფასების ჯგუფის წევრებს. ძალიან მაინტერესებდა მათი მოსაზრება, ამიტომ გადავწყვიტე მიმეღო მათგან წერილობითი უკუკავშირი. ინტერნეტსივრცეში ერთ-ერთი სკოლის ბლოგზე წავაწყდი კითხვარს, რომელიც კვლევის უკუკავშირისათვის იყო განკუთვნილი, გადავწყვიტე, დავსესხებოდი კოლეგას და გამომეყენებინა ეს კითხვარი. წარმოგიდგენთ ბლოგის ინტერნეტ მისამართს, რომლისაგანაც ავიღე კითხვარი: http://33skola.blogspot.com/

გთავაზობთ კითხვარს.

1. თქვენი აზრით, კვლევის ანგარიშში ავტორის მიერ წარმოდგენელი არგუმენტები საკვლევი საკითხის აქტუალობის შესახებ:

ა) დამაჯერებელია; ბ) მეტ-ნაკლებად დამაჯერებელია; გ) არ არის დამაჯერებელი

1. საკვლევის საკითხის ირგვლივ წარმოდგენილი ლიტერატურული მასალა:

ა) სანდო,მოცულობითი და ინფორმატიულია;

ბ) მეტ-ნაკლებად სანდო, მეტ-ნაკლებად ინფორმატიული და მეტ-ნაკლებად მოცულობითია;

გ) მწირია და არ არის სანდო;

2. კვლევის ანგარიშის მიზანი:

ა) მიღწევადი და გაზომვადია; ბ)მეტ-ნკლებად მიღწევადი და გაზომვადია;

გ) მიუღწევადია

3. მონაცემთა ანალიზი

ა) ნათელი და თანმიმდევრულია; ბ)ზოგადი და არასრულყოფილია

გ) არარელევანტურია

4. ინტერვენცია/ჩარევა

ა)დაგეგმილი და განხორციელებულია მრავალფეროვანი ინტერვენციები

ბ)მწირია ინტერვენციები; გ)არარელევანტურია

5. არგუმენტაციისა და დასკვნების ლოგიკურობა:

ა)ყველა პუნქტი არგუმენტირებულია და დასაბუთებულია

ბ)არგუმენტაცია ნაკლებად დამაჯერებელია; *გ)არ არის არგუმენტირებული*

მიღებული უკუკავშირის საფუძველზე შევადგინე კვლევის რეფლექსია:

- *რამ განაპირობა კვლევის ჩატარება?*

როგორც საყოველთაოდაა ცნობილი მოსწავლეთა შეფასება ძალზე სენსიტიური თემაა ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში. ბევრი ადამიანი ამბობს იმას, რომ შეფასების სისტემა საერთოდ შესაცვლელია,ზოგიც კიდევ მიუთითებს არსებული სისტემის ხარვეზებზე და ემხრობა იმ მოსაზრებას, რომ შესაძლებელია საერთო ძალისხმევით ამ ხარვეზების გამოსწორება.მოკლედ, თემა ნამდვილად აქტუალურია და სწორედ მისმა აქტუალობამ გადამაწყვეტინა კვლევის ჩატარება.თანაც მე ინტენსიურად ვიყენებ ჩემს პრაქტიკაში განმავითარებელ შეფასებას, მაგრამ ბავშვები ხშირად ნიშნით უფრო არიან დაინტერესებული, ვიდრე განმავითარებელი შეფასებით. ამიტომ გადავწყვიტე, რომ პრაქტიკული ღონისძიებებით დამენახვებინა ბავშვებისათვის შეფასების ამ ტიპის მნიშვნელობა და როლი მათი სწავლების პროცესის წარმატებულად მიმდინარეობისათვის.

- *რა სარგებელი მიიღეს კოლეგებმა? მოსწავლეებმა?*

კვლევის ანგარიშში ვრცლად მაქვს განხილული ყველა ის აქტივობა, რომელიც განვახორციელე იმისათვის, რომ რაც შეიძლება შემემცირებინა განმავითარებელ შეფასებასთან დაკავშირებული სირთულეები. ჩემი აზრით, კოლეგებისათვის საინტერესო იყო თვით საკვლევი საკითხი და საინტერესო იყო დაგეგმილი და განხორციელებული ინტერვენციები. მოსწავლეებისათვის კი სარგებელი მდგომარეობდა იმაში, რომ მათ დაინახეს კონკრეტულად რა მნიშვნელობა აქვს განმავითარებელ შეფასებას მათს წარმატებაში. ისინი ფაქტობრივად მიხვდენენ, რომ ეს ერთადერთი შეფასებაა, რომელიც მათ დაეხმარებათ, საკუთარი სასწავლო პროცესი დინამიურად განვითარებადი გახადონ.

- *იქნა თუ არა მიღწეული მიზანი?*

ვფიქრობ, კვლევის მიზანი შეიძლება მიღწეულად ჩავთვალო, რადგანაც განხორციელებული ინტერვენციების შეფასების შედეგებში ბავშვების უდიდესმა უმრავლესობამ დააფიქსირა, რომ მათ დაეხმარათ ეს აქტივობები საკუთარი ცოდნის მაჩვენებლის ზუსტ დიაგნსტირებაში, განხორციელებული ინტერვენციები შეფასებულია, როგორც ძალიან საინტერესო და საჭირო აქტივობად და ინტერვენციების განხორციელების შემდეგ მოსწავლეებს შეუძლიათ საკუთარი თავის დამოუკიდებლად შეფასება რუბრიკიდან გამომდინარე.

- *რა შეიცვლება თქვენი და თქვენი კოლეგების პედაგოგიურ პრაქტიკაში ამ კვლევის ჩატარებით?*

სამუშაო შეხვედრებზე კოლეგებმა დააფიქსირეს, რომ საკვლევი საკითხი ძალიან საინტერესო და საჭირო იყო მათთვის. უკუკავშირებში გამოჩნდა, რომ კოლეგები გაითვალისწინებენ კვლევის ძირითად მიგნებებსა და რეკომენდაციებს საკუთარ პრაქტიკაში.

- *რა საჭიროებს გაუმჯობესებას და როგორ?*

ვფიქრობ, დასახვეწია ლიტერატურის დამუშავების სტრატეგიები და კვლევის მეთოდოლოგია. ამ გადასახედიდან, ვფიქრობ, რომ კარგი იქნებოდა გამეფართოვებინა სამიზნე ჯგუფის არეალი და კვლევით აქტივობებში მშობლებიც ჩამერთო.